

**ქართული მოდერნიზმის მახასიათებლები გველის პერანგისა  
და დიონისოს ღიმელის მიხედვით**

**ოთარ ჯირკვალიშვილი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი  
ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: უცხო ენათა ფილოლოგია და შედარებითი  
ლიტერატურათმცოდნეობა (შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა)  
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბელა წიფურია, პროფესორი, დოქტორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2021**

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ოთარ ჯირკვალიშვილი

21. 06. 2021

## მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელს, ბელა წიფურას, ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოჩენილი ყურადღებისა და დახმარებისთვის.

## აბსტრაქტი<sup>1</sup>

ნაშრომის დასაწყისში განხილულია ევროპული მოდერნიზმის წარმოშობა და განვითარება, ნაჩვენებია განსხვავება მოდერნსა და მოდერნიზმს შორის.

კვლევაში ნაჩვენებია, თუ როგორ შემოვიდა საქართველოში მოდერნიზმი, როგორ მოხდა მისი ათვისება და გადამუშავება, როგორ შეუწყო ხელი მოდერნიზმის განვითარებამ რიგ საზოგადოებრივ ცვლილებებს და როგორ აისახა და გამოვლინდა ქართულ ხელოვნებაში მოდერნიზმისთვის დამახასიათებელი, იმ დროისთვის თანამედროვე ტენდენციები.

ჩემი მოსაზრების უკეთ საჩვენებლად ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა ორი მოდერნისტი ავტორის ექსპრესიონისტულ რომანებს, ესენია: კონსტანტინე გამსახურდიას *დიონისოს ღიმილი* და გრიგოლ რობაქიძის *გველის პერანგი*.

ამ რომანებში კარგად არის გამოვლენილი ქართული მოდერნიზმისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები და ტენდენციები.

ნაშრომში ძირითადად ვეყრდნობი სხვადასხვა თეორიულ მასალას. ამ მასალის გააანალიზებისა და შედარების საფუძველზე ვასკვნი, რომ ქართული მოდერნიზმი იყო ღრმად გააზრებული, ლოგიკური პროცესი, რომელმაც ხელი შეუწყო ქართულ კულტურულ სივრცეში ევროპული ღირებულებების ათვისებასა და დამკვიდრებას, ქართული ხელოვნების განახლებასა და ასევე ევროპული მოდერნიზმის გამდიდრებას, მასში ახალი ღირებულებების შეტანით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მოდერნი, მოდერნიზმი, ევროპული მოდერნიზმი, ქართული მოდერნიზმი, ექსპრესიონიზმი, *დიონისოს ღიმილი*, *გველის პერანგი*.

---

<sup>1</sup> ნაშრომის ეს ნაწილი დამუშავებულია აკადემიური წერის კურსის ფარგლებში

## Abstract

The paper begins with discussing the origins and development of European modernism, showing the difference between Modern and Modernism.

The study depicts the way modernism was developed in Georgia, how it was assimilated and modified, how the development of modernism contributed to a number of social changes, and how the modern trends that had been characteristic of modernism were reflected and revealed in Georgian art. To better illustrate my point, the paper examines the expressionist novels of two modernist authors: *The Smile of Dionysus* by Konstantine Gamsakhurdia and *The Snake Shirt* by Grigol Robakidze. These novels accordingly reflect specific signs and tendencies characteristic of Georgian modernism.

The work is mainly based on various theoretical materials. Based on the analysis and comparison of these materials, I come to the conclusion that Georgian modernism was a deeply thought-out, logical process that contributed to the assimilation and establishment of European values in the Georgian cultural space, the renewal of Georgian art and the enrichment of European modernism by adding new values.

**Key words:** Modern, Modernism, European Modernism, Georgian Modernism, Expressionism, *The Smile of Dionysus*, *The Snake Shirt*.